საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-572

07/07/2020

ქ. თბილისი

ქ. ახალციხეში, შპს „ატლანტ-ოილის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ატლანტ-ოილის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ახალციხეში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ახალციხეში, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N57-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 62.09.54.834, 62.09.62.466), რომელთა საერთო ფართობი 239 $მ^2$-ია. აღნიშნული მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაშია და სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შპს ,,ატლანტ-ოილს”. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ ტერიტორიიდან 70 მეტრში მიედინება მდ. ფოცხოვისწყალი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე დაგეგმილია ოთხ თანაბარ ნაწილად გაყოფილი თითოეული 23 $მ^3$ მოცულობის მიწისქვეშა ბენზინის და დიზელის საწვავის მიღება-შენახვისთვის განკუთვნილი რეზერვუარის განთავსება (ჯამური მოცულობა 92 $მ^3$), ორი ავტოგასამართი სვეტით. რეზერვუარები აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველებით. თითოეული ავზი განკუთვნილი იქნება ერთი სახეობის საწვავისთვის. კომპანიას დაგეგმილი აქვს წლიურად 1.5 მილიონი ლიტრი ბენზინის და 1.0 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე 24 საათი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსდება საოპერატორო შენობა და დამხმარე სათავსოები. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია მეხამრიდის მოწყობა. ხოლო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი იქნება სახანძრო ინვენტარით.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი იქნება მილსადენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საწვავის მიწოდებას მიწის ქვეშ არსებული რეზერვუარებისთვის და ასევე საწვავის გასაცემი სვეტებისთვის.

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მცენარეულ საფარზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ავტოგასამართი სადგურის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. ამასთან დიზელის და ბენზინის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის განთავსება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწვავის გასაცემი მოედნიდან ავარიულად დაღვრილი საწვავი და მოედნის ნარეცხი წყლები არხის საშუალებით ჩაედინება ნავთობდამჭერ ჭაში, საიდანაც ამოღებული შლამი და ნავთობპროდუქტები დასაწყობდება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, რის შემდგომაც გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, მათი მართვა განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ნავთობდამჭერიდან მექანიკურად გაწმენდილი წყალი გადავა ობიექტიდან 15-18 მეტრში არსებულ სანიაღვრე არხში. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში და. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ მდებარეობს.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6,3 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ახალციხეში, შპს „ატლანტ-ოილის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ატლანტ-ოილი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ატლანტ-ოილს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ატლანტ-ოილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი